უფასო

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

წელიწადი მერვე

| № 10-11 | Сборник приказов и распоряжений НКПроса Грузинской ССР | 1945 წ. |
|---|---|---|

მითითებანი—1945-46 სასწ. წელს დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების გამოსაშვებ კლასებში ცალკე სასწავლო საგნებში გავლილი მასალის გამეორების შესახებ.

ბრძანება — გურჯაანის რაიონის სკოლებში სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

ბრძანება — ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა მიერ წერითი სამუშაოების არადამოუკიდებლად შესრულების შესახებ.

სასწავლო გეგმები—დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლებისა.

თბილისი
1945

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების სახალხო
კომისრის მოადგილე მ. ბურჭულაძე.
1945 წ. ნოემბერი.

# მითითებანი

## 1945-46 სასწავლო წელს დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის გამოსაშვებ კლასებში სასწავლო მასალის გამეორების შესახებ

„სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 21 ივნისის დადგენილებით, იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც ამთავრებენ დაწყებითს და შვიდწლიან სკოლას, დაწესებულია გამოსაშვები გამოცდების სავალდებულო ჩაბარება, ხოლო იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც ამთავრებენ საშუალო სკოლას, გამოცდების ჩაბარება სიმწიფის ატესტატზე.

გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე გამოცდები იწარმოებ არა მარტო დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის უკანასკნელი კლასების კურსის მიხედვით, არამედ სწავლების წინა წლების კურსის ფარგლებშიც.

ახალი მოთხოვნები, რომლებიც წარდგენილი აქვს სკოლას, ავალდებულებს მას მნიშვნელოვნად გარდაჰქმნას თავისი მუშაობა.

მოსწავლეებთან მეცადინეობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როგორც მიმდინარე სასწავლო წლის, ისე წინა წლების კურსის საპროგრამო მასალის სისტემატურ გამეორებას. ამ პირობებში მასწავლებლის მიერ სასწავლო მეცადინეობის დაგეგმვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. საჭიროა ახლავე განაწილდეს საკმაო სიზუსტით გასამეორებელი საპროგრამო მასალა მთელი სასწავლო წლისათვის, სწავლების მეოთხედებისა და კვირების მიხედვით.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი, მათი მომზადება წარსული წლების კურსში. ამის მიხედვით, მეცადინეობის გეგმის შედგენისას, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას გაკვეთილები ახალი მასალის შესასწავლად და ამავე დროს ძველი,

წინათ გავლილი მასალის გასამეორებლად, აგრეთვე გაკვეთილები, რომლებიც დაეთმობა მხოლოდ გამეორებას, და სპეციალური გაკვეთილები ახალი თემებისა და საკითხებისათვის.

ყველაზე მეტი სიძნელე იქნება ისეთი გაკვეთილების დაგეგმვისას, რომლებზედაც, ახალი მასალის შესწავლასთან ერთად, წინათ გავლილი მასალის გამეორება მოხდება. ამ გაკვეთილებზე წინათ გავლილი თემებისა და საკითხების კავშირი ახლად შესასწავლთან ორგანული უნდა იყოს და არა ხელოვნური. მაგალითად **ფიზიკაში**, X კლასში, ელექტროსტატიკის, კათოდურ სხივებში ელექტრონების მოძრაობისა და ელექტროძრავების მუშაობის თავისებურებათა გასაგებად საჭიროა მექანიკის გამეორება. ძალთა შეკრებაზე ნათელი წარმოდგენის უქონლად არ შეიძლება იმის წარმოდგენა, თუ რა არის ძალთა ხაზი; ძალის ამაჩქარებელი მოქმედების გაუგებლად შეუძლებელია ლაპარაკი კათოდურ სხივებზე; ცვალებადი დენისა და ელექტრომაგნიტურ რხევათა გასაგებად საჭიროა გამეორება და ნათელი წარმოდგენა მექანიკურ რხევებსა და ტალღებზე. ამგვარად, მთელ რიგ თემებში X კლასის კურსის მასალა ორგანულად არის დაკავშირებული VIII და IX კლასებში გავლილ თემებთან.

**არითმეტიკაში**, IV კლასში, პროცენტის ცნება რიცხვის ნაწილის პოვნას უკავშირდება, რადგან პროცენტის პოვნა რიცხვის მეასედი ნაწილის პოვნას წარმოადგენს. ამიტომ პროცენტების ახსნას წინ უნდა უსწრებდეს რიცხვის ერთი ან რამდენიმე ნაწილის პოვნის გამეორება, რაც გავლილია III კლასში.

**ისტორიაში**, IV კლასში, თემის — „თავადაზნაურული იმპერია XVIII საუკუნეში" — შესწავლასთან დაკავშირებით, ყმა გლეხების მძიმე მდგომარეობის აღწერისას ბუნებრივია გავიხსენოთ „იურის დღის" გაუქმება ივანე IV დროს. პუგაჩოვის წინამძღოლობით გლეხთა ომის შესახებ თემის დამუშავებისას მოსწავლეებს უნდა გავახსენოთ რაზინის ბრძოლა ბოიარინებისა და მემამულეების წინააღმდეგ.

ზოგიერთ საგანში საჭირო გამეორებისას ფართოდ იქნას გამოყენებული შედარებანი, ანალოგიები.

**გეოგრაფიაში**, მაგალითად, სასარგებლოა შევადაროთ სსრკ ცალკეული რაიონები არა მარტო ერთმანეთს, არამედ აგრეთვე უცხოეთის ზოგიერთ რაიონს ან მთელ ქვეყნებს. მაგალითად, ციმბირის შესწავლის დროს შეგვიძლია შევადაროთ იგი კანადას, საბჭოთა სუბტროპიკები — იტალიის ჰავასა და მცენარეულობას, შორეული აღმოსავლეთის მუსონებიანი ოლქები — იაპონიის ჰავის პირობებს და ა. შ.

**არითმეტიკაში** დროის საზომებზე მოქმედებათა შესწავლისას ხაზგასმით უნდა ალინიშნოს ამ საზომებსა და წინათ გავლილ მეტრულ საზომებზე მოქმედებათა შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.

ცალკეული საგნები საშუალებას იძლევიან გამოვიყენოთ სხვა, მათი მონათესავე დისციპლინების გასამეორებელი მასალა. მაგალითად, **ლიტერატურისა** და **ლიტერატურული კითხვის** გაკვეთილებზე შეიძლება გამეორებულ იქნას ენის კურსი. ამას ხელს უწყობს ამა თუ იმ მწერლის სტილის თავისებურებათა შესწავლა, ანალიზი მოსწავლეთა წერითი ნამუშევრისა ლიტერატურაში და ა. შ. **ალგებრის** შესწავლისას შეიძლება არითმეტიკის გამეორება. მაგალითად, ალგებრული წილადების გავლა ბუნებრივად უკავშირდება არითმეტიკული წილადების გამეორებას.

გამეორების სპეციალური გაკვეთილები შეიძლება მოეწყოს როგორც სასწავლო მეოთხედის დასაწყისში, ისე მის დამლევს; ეს გაკვეთილები გაცილებით მეტი იქნება უკანასკნელ მეოთხედში; ყველაზე უკეთესია მათი ჩატარება განსაზღვრული თემის, კურსის ნაკვეთის შესწავლის შემდეგ. გავლილი მასალის გასამეორებელი ცალკეული გაკვეთილები იმისათვის ტარდება, რომ მოსწავლეებს არ დაავიწყდეთ წინათ გავლილი, მაგრამ არასაკმაოდ შეთვისებული მასალა. ამ გაკვეთილების თავისებურებას განსაზღვრავს მოცემული კლასის მოსწავლეთა ცოდნის მდგომარეობა.

გაკვეთილებზე გამეორება ისე უნდა ხდებოდეს, რომ გასამეორებელი მასალა გავლილ იქნას ახალი სახით, რათა მან გაამახვილოს მოსწავლეთა აზროვნება, ახალი საკითხები წამოაყენოს მათ წინაშე. ამისათვის მოცემულ უნდა იქნას სხვადასხვანაირი ამოცანები, რომლებიც იმის საშუალებას იძლევიან, რომ წინათ მიღებული ცოდნა გამოყენებულ იქნას ახალ მასალაში, დაისვას ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ არა მასწავლებლის ან სახელმძღვანელოდან ალებული სიტყვების მექანიკურ გადმოცემას, არამედ მოსწავლეთა მიერ დამოუკიდებელი დასკვნების გამოტანას, მათს სწრაფ ორიენტირებას. ამ მხრივ დიდ დახმარებას გაგვიწევენ შედარებანი, ანალოგიები, დაპირისპირებანი, განმაზოგადებელი კითხვები და სხვ. მაგალითად, **ლიტერატურული კითხვის** გაკვეთილებზე მასწავლებელი აყენებს კითხვებს, რომლებიც არკვევენ ნაწარმოების იდეურ არსს, გმირთა დამახასიათებელ თვისებებს, წინადადებას აძლევს მოსწავლეებს მისცენ ორი ლიტერატურული ტიპის შედარებითი დახასიათება და ა. შ. **მათემატიკის** გაკვეთილებზე X კლასში, ნატურალურ რიცხვებზე მოქ-

მედებათა წესების გამეორებისას, საჭიროა გამახვილდეს მოსწავლეთა ყურადღება არითმეტიკულ მოქმედებათა ძირითად კანონებსა და თვისებებზე, მიეთითოს ამ კანონების ზოგადობაზე და იმაზე, რომ ეს კანონები ვრცელდება წილადებზე, უარყოფითი, ირაციონალურ და კომპლექსურ რიცხვებზე.

ზოგიერთი თემა, რომელთა შეთვისება მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეუძლიათ, შინ გასამეორებლად უნდა მიეცეს, მაგრამ ამასთან მასწავლებელი მუდამ უნდა ითვალისწინებდეს, თუ რამდენად აქვთ შეთვისებული კურსის ეს ნაკვეთები მოსწავლეებს.

წესად უნდა იყოს მიღებული, რომ მასწავლებელმა განუმარტოს მოსწავლეებს საშინაო დავალებათ მიცემული და გასამეორებლად მიცემული გავლილი მასალა.

შემოწმება ნათელჰყოფს, რომ, ცალკეულ დღეებში მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში იმდენად ბევრი მასალა ეძლევათ გასამეორებლად, რომ მათი მთლიანად წაკითხვაც კი არ შეუძლიათ; ამიტომ დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგისა და კლასის ხელმძღვანელთა მოვალეობას შეადგენს კონტროლი გაუწიონ მოსწავლეთა დატვირთვას საშინაო დავალებებით.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მოსწავლეს ერთი ნიშანი უნდა დაეწეროს ახალი და წინათ გავლილი მასალის ცოდნაში.

მასწავლებელთა და, მაშასადამე, აგრეთვე მოსწავლეთა მეცადინეობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული პედაგოგიური პროცესის სწორად დაყენების უნარზე. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გაკვეთილის ორგანიზაციას. მისი მკაფიო სტრუქტურა, ცალკეული ნაწილების სწორი ურთიერთშეფარდება, მეცადინეობისათვის დათმობილი დროის მთლიანად გამოყენება—ყოველივე ეს განსაზღვრავს სასწავლო მუშაობის მაღალ ხარისხს. ამიტომ მასწავლებელი გულდასმით უნდა ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევათა განვითარებას. მასწავლებელი სისტემატურად უნდა ამოწმებდეს, თუ როგორ ემზადება მოსწავლე გაკვეთილებისათვის შინ, შეუძლია თუ არა დამოუკიდებლად შეითვისოს სახელმძღვანელოში მოთავსებული მასალა, რა ხერხებს იყენებს ამისათვის, უნდა მიუთითოს მას მასალის დაძლევის ყველაზე უფრო რაციონალურიხერხები და ა. შ.

X კლასში სასწავლო წლის უკანასკნელი თვე მთელი კურსის საბოლოო გამეორებას უნდა დაეთმოს. ამ დროისათვის დამთავრებული უნდა იყოს ყველა პროგრამის გამეორება. ამ თვეში გაკვეთი-

ლებზე უმთავრესად ხდება მოსწავლეთა მიერ საგნის მთელი კურსის ცოდნის შემოწმება, პროგრამის იმ თემების გარკვევა, რომლებიც მოსწავლეთა უმეტეს ნაწილს ყველაზე უფრო სუსტად აქვს შეთვისებული, რათა ერთხელ კიდევ მიეცეთ მათ საჭირო განმარტება ამ თემებზე. ამავე დროს სასარგებლოა საათების გადიდება კონსულტაციებისა და მიმოხილვითი ლექციების ჩასატარებლად. ლექციებში მექანიკურად არ უნდა მეორდებოდეს გავლილი კურსის შინაარსი, ისინი უმთავრესად განმაზოგადებელი ხასიათისა უნდა იყოს და უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს პროგრამის ამა თუ იმ ნაკვეთზე დამოუკიდებელ მუშაობაში.

კლასგარეშე მეცადინეობა ძირითადად აგრეთვე მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს საპროგრამო მასალის შესწავლა-გამეორებაში. მაგალითად, ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების წრეებში მოსწავლეები ამუშავებენ მთელ რიგ ლიტერატურულ, ისტორიულ, გეოგრაფიულ თემებს, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობენ სასწავლო პროგრამიდან, კითხულობენ მოხსენებებს. იგივე ამოცანა აქვთ დასახული სკოლისგარეშე დაწესებულებებს: მათ უნდა მოაწყონ სათანადო გამოფენები, ჩაატარონ პროგრამებთან დაკავშირებული ლაბორატორიული მეცადინეობა და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც დაეხმარებიან მოსწავლეებს. სკოლის მთელ მუშაობის კარგად მოფიქრებული ორგანიზაცია შესაძლებლობას მოგვცემს წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი.

რადგან კურსის გასამეორებლად საჭიროა გაკვეთილების გარკვეული რაოდენობის გამოყოფა (რაც შემოკლებული სასწავლო წლის პირობებში მასწავლებლისათვის საძნელოა), საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო წინადადებას იძლევა მიმდინარე სასწავლო წელს საგნების გავლისას და გამეორებისას გათვალისწინებულ იქნას საპროგრამო მასალის შემდეგი სახით შემოკლება:

## I. მეოთხე კლასი

### ქართული ენა

III კლასის კურსიდან გამეორებულ უნდა იქნას:

წინადადების დაშლა სიტყვებად, სიტყვებისა—მარცვლებად და ბგერებად. ბგერა და ასო. ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები. სიტყვის გადატანა.

თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებები. სასვენი ნიშნების დასმა ასეთ წინადადებათა ბოლოს. წინადადებაში განმაზოგადებელი სიტყვის შემდეგ ორწერტილისა და ჩამოთვლილ სიტყვათა შორის მძიმის დასმა.

წინადადების წევრები მნიშვნელობის მიხედვით: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა. რიგითი რიცხვითი სახელის მართლწერა. წინადადების წევრები დანიშნულების მხრივ.

მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი. ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში.

სრული და არასრული წინადადება. ტირე არასრულ წინადადებაში. გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადება. არაპირდაპირი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვების ჩასმა ბრჭყალებში.

## РУССКИЙ ЯЗЫК

Повторить, привести в систему и закрепить запас слов, приобретенный на уроках русского языка в III классе.

Материал словарный. Лексический должен быть повторен по следующим темам.

1. Школьная обстановка, классная мебель и учебные предметы.
2. Здание, части здания и комнаты.
3. Семья, одежда, занятие членов семьи.
4. Времена года, полевые работы.
5. Домашние животные.
6. Домашние птицы.
7. Дикие звери.
8. Запас слов военно-оборонного характера.

## არითმეტიკა

I—III კლასების კურსიდან გამეორებულ უნდა იქნას:

გამრავლება-გაყოფის ცხრილები. მრავალნიშნა რიცხვების ზეპირი და წერითი ნუმერაცია. მთელ რიცხვებზე ზეპირი და წერითი გამოანგარიშების ხერხები. რიცხვთა სახელწოდება შეკრების, გამოკლების, გამრავლებისა და გაყოფის დროს. მეტრული საზომები და დროის საზომები. ზეპირი და წერითი ამოხსნა იმ ამოცანებისა, რომლებიც გათვალისწინებულია I—III კლასების არითმეტიკის პროგ-

რამით, მათ შორის ამოცანებისა მართკუთხედის და კვადრატის ფართობთა გამოანგარიშებაზე.

**შენიშვნა:** IV კლასის არითმეტიკის პროგრამა გავლილ უნდა იქნას სრულად.

## ისტორია

მიმდინარე სასწავლო წლის IV კლასის ისტორიის პროგრამიდან ამოღებულია:

თემაში „მეფის რუსეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში“ — ქვეთემა „ეკატერინე II და პავლე I ბრძოლა ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ“ (გარდა საკითხისა სუვოროვის საზღვარგარეთ ლაშქრობის შესახებ); თემაში „კაპიტალიზმის გაძლიერება მეფის რუსეთში“ — ქვეთემა „I ინტერნაციონალი და პარიზის კომუნა“; თემაში „რუსეთის პირველი რევოლუცია“ — საკითხები: „ობუხოვის დაცვა“, „რსდმპ ორგანიზაცია“, „მეფის მანიფესტი“, „მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მატროსთა რევოლუციური გამოსვლები 1906 წ.“. გარდა ამისა, უფრო მოკლედ უნდა იქნას გავლილი ამ თემის დანარჩენი მასალა.

ამრიგად, გასამეორებლად თავისუფლდება 5 საათი.

IV კლასის მთელი დანარჩენი მასალა შესწავლილ უნდა იქნას.

III კლასის კურსიდან გამეორებულ უნდა იქნას:

ძველი სლავები (მოსაქმეობა და ყოფაცხოვრება). კიევის სახელმწიფოს წარმოქმნა. თავადი სვიატოსლავი. ალექსანდრე ნეველი და მისი ბრძოლა შვედ და გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. თათარ-მონღოლთა ბატონობის უღელი. მოსკოვის ამაღლება. დიმიტრი დონელი და კულიკოვოს ბრძოლა. ივანე III და თათარ-მონღოლთა ბატონობის დასასრული. ივანე IV — თვითმპყრობელი მეფე. ყაზანისა და ასტრახანის დაპყრობა, ერმაკის ლაშქრობა. ივანე IV ბრძოლა ბოიარინებთან. „იურის დღის“ გაუქმება. სახალხო გმირები — მინინი და პოჟარსკი და მათი ბრძოლა პოლონელ დამპყრობლებთან. ბოგდან ხმელნიცკი და მისი ბრძოლა პოლონელი პანების ბატონობისაგან უკრაინის განთავისუფლებისათვის. სტეფანე რაზინი.

## გეოგრაფია

გეოგრაფიის IV კლასის კურსის გავლის შემდეგ III კლასის გეოგრაფიის კურსიდან გამეორებულ უნდა იქნას:

კომპასი და მისი გამოყენება. ტოპოგრაფიული გეგმა (მიმართულებათა განსაზღვრა გეგმაზე, მანძილის გამოანგარიშება მასშტაბის საშუალებით, პირობითი ნიშნების გარჩევა). ეკვატორი, ტროპიკები, პოლარული წრეები, პოლუსები, სითბური სარტყლები, ქვეყნის ნაწილები, ოკეანეები და მათი ჩვენება გლობუსსა და ნახევარსფეროების რუკაზე.

## II. მეშვიდე კლასი

## ქართული ენა

გამეორებულ უნდა იქნას:

წინადადება შინაარსის მიხედვით: თხრობითი, კითხვითი, ძახილისა, კითხვით-ძახილისა, ბრძანებითი.

სიტყვა, ბგერა, ასო; ასოთა რიგი; სიტყვის დამარცვლა და გადატანა. მეტყველების ნაწილები:

არსებით სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით. ბრუნვები და ბრუნება. სახელის ფუძე და ბრუნვის ნიშნები. არსებით სახელთა ჯგუფები ფუძეთა მიხედვით. I, II, III ბრუნება. არსებით სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

ზედსართავი სახელი: ვითარებითი და მიმართებითი. ზედსართავი სახელის ბრუნება დამოუკიდებლად. ბოლოთანხმოვნიანი ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ერთად ბრუნება. ბოლოხმოვნიანი ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ერთად ბრუნება და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

რიცხვითი სახელი: რაოდენობითი და რიგითი. რიცხვითი სახელის ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად, ამასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. რიგითი რიცხვითი სახელების მართლწერა არაბული და რომაული ციფრებით.

ნაცვალსახელთა ჯგუფები. ჩვენებითი ნაცვალსახელების ხმარება ცალკე და არსებით სახელთან ერთად.

სახელთა წარმოება: ბოლოსართიანი წარმოება, თავსართ-ბოლოსართიანი წარმოება. უფროობითი ხარისხის ფორმათა წარმოება. რთული სიტყვები და მათი მართლწერა.

ზმნიზედა შინაარსის მიხედვით.

თანდებული. თანდებულიანი ბრუნვები. მართლწერის საკითხები თანდებულიან ფორმებში.

კავშირი.

ნაწილაკის მნიშვნელობა. მართლწერის საკითხები ნაწილაკის ხმარებისას.

შორისდებული. სასვენი ნიშნები შორისდებულთან.

ზმნა. პირი და რიცხვი. პირთა რაოდენობა ერთ ზმნაში. პირი სუბიექტური და პირი ობიექტური. პირისა და რიცხვის ნიშნები. მართლწერის საკითხები პირისა და რიცხვის ნიშანთა ხმარების დროს.

ზმნისწინი.

ზმნის დრო, ასპექტი, კილო.

სერიები. სერიებად დაყოფის საფუძველი. ფუძე. თემის ნიშნები.

გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. გვარი მოქმედებითი და ვნებითი. ქცევა. მეშველობითი ფორმის მართლწერა.

უღლების ტიპები. მონაცვლე ზმნები. სახელზმნა.

ქართული ლიტერატურა:

1. ფოლკლორი—„ლენინის ხსოვნას", „სიმღერა სტალინზე".
2. დ. ჭონქაძე—ბიოგრაფია, „სურამის ციხე".
3. ილ. ჭავჭავაძე—„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან", „ჩემო კარგო ქვეყანავ", „გუთნის დედა", „ელეგია", „პოეტი", „გლახის ნაამბობი".
4. აკაკი წერეთელი—„მუშური", „ჩემი თავგადასავალი". „პოეტი", „სულიკო", „თორნიკე ერისთავი".
5. ვაჟა-ფშაველა—„მთის წყარო", „ბუნების მგოსნები", „ხმელი წიფელი" „არწივი".
6. ალ. ყაზბეგი—„ელისო".
7. რაფ. ერისთავი—ბიოგრაფია (ძირითადი ფაქტები).
8. ნ. ლომოური—ბიოგრაფია (ძირითადი ფაქტები). „ყოველის მხრიდან".
9. ეგნ. ნინოშვილი—„გოგია უიშვილი", „მოსე მწერალი".
10. ირ. ევდოშვილი—„სიმღერა".
11. შ. არაგვისპირელი—„ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!"
12. გ. ტაბიძე—„ჩვენ და ისინი".
13. ალ. პუშკინი—„კავკასიონი".
14. ტ. შევჩენკო—ბიოგრაფია (ძირითადი ფაქტები). „კავკასი".

## РУССКИЙ ЯЗЫК

В VII классе необходимо повторить:

Состав слов.

Имя существительное. Роль существительного в предложении. Существительные собственное и нарицательное. Род и число существительных.

Склонение существительных. Правописание падежных окончаний. Имя прилагательное. Значение прилагательного. Согласование прилагательного с существительным в роде, числе и падеже. Склонение прилагательных. Глагол. Значение глагола в предложении, как сказуемого. Изменение

глагола по временам. Спряжение глагола. Правописание личных окончаний. Неопределенная форма глагола, правописание. Повелительное наклонение, правописание.

## Литературный материал

1. Крылов—„Лебедь, щука и рак".
2. „ „Мартышка и очки".
3. „ „Стрекоза и муравей".
4. „ „Лисица и виноград".
5. Л. Н. Толстой—рассказы: „Два товарища".
6. „ „ „Девочка и грибы".
7. „ „ „Дружба льва с собачкой."
8. „ „ „Акула."
9. „ „ „Орел".
10. Инбер—„Пять ночей и дней."
11. „ „Нас четверо".
12. Садофьев—„Песня о родине".
13. Пушкин—„Осень".
14. „ „Наступление весны".
15. „ „Зимняя дорога".
16. „ „Зимнее утро".
17. Некрасов—„Мужичок и неготок".
18. Горький—„Мальчики Овсянниковы".
19. Капитан Гастелло.

## მათემატიკა

წინა წლების კურსიდან მათემატიკაში გამეორებული უნდა იქნას:

**ა) არითმეტიკაში:** მთელ რიცხვებსა და წილადებზე (ჩვეულებრივსა და ათწილადებზე) ზეპირი და წერითი გამოანგარიშების ხერხები.

ზეპირი და წერითი ამოხსნა ყველა იმ სახის ამოცანებისა, რომლებიც გათვალისწინებულია პროგრამით III—V კლასებისათვის.

არითმეტიკის სისტემატური კურსი IV—V კლასების პროგრამის მიხედვით: არითმეტიკულ მოქმედებათა განსაზღვრა; არითმეტიკულ მოქმედებათა შემადგენლობაში შემავალი რიცხვების სახელწოდება და დამოკიდებულება ამ რიცხვებს შორის; მოქმედებათა შემოწმება; მოქმედების შედეგის ცვლა; არითმეტიკულ მოქმედებათა კანონები და თვისებები: რიცხვთა გაყოფადობა; ჩვეულებრივი წილადები და ათწილადები. პროცენტები. შეფარდება და პროპორცია. სიდიდეთა პროპორციულობა.

**ალგებრასა და გეომეტრიაში** გამეორებულ უნდა იქნას VI კლასის პროგრამით გათვალისწინებული მასალა.

თემების მიხედვით სასწავლო საათები მიმდინარე წლისათვის შემდეგნაირად უნდა განაწილდეს (მხედველობაში ვიღებთ სასწავლო წლის დაწყებას 1 ოქტომბრიდან).

**ალგებრა.** ალგებრული წილადები—20 საათი, პროპორცია—4 საათი, პირველი ხარისხის ერთუცნობიანი განტოლება—22 საათი, პირველი ხარისხის განტოლებათა სისტემა—12 საათი; სულ 58 საათი.

**გეომეტრია.** ოთხკუთხედები—22 საათი, წრეხაზი—24 საათი, ჩახაზული და შემოხაზული სამკუთხედები და ოთხკუთხედები—12 საათი; სულ 58 საათი. გამეორება—29 საათი.

სასწავლო წლის მეორე ნახევარში, VII კლასში, ალგებრის, გეომეტრიისა და არითმეტიკის შესასწავლად და გასამეორებლად გამოყოფილი დრო შეიძლება ასე განაწილდეს: ალგებრას დაეთმოს კვირაში 2 საათი, გეომეტრიას—კვირაში 2 საათი და არითმეტიკას—კვირაში 1 საათი.

## ისტორია

ისტორიის VII კლასის კურსიდან ამოღებული იქნას:

თემაში „ესპანეთი XI—XV საუკ."—ყველა საკითხი, გარდა საკითხებისა: „რეკონკისტა" და „კასტილიისა და არაგონია-კატალონიის გაერთიანება და ესპანეთის სამეფოს წარმოქმნა".

ჩრდილოეთ იტალიის სახელმწიფოთა ისტორია გავლილ უნდა იქნას ერთ გაკვეთილზე.

თემაში „იტალია XVI საუკ." ამოღებული იქნას ქვეთემა „კლასობრივი წინააღმდეგობანი და პოლიტიკური წყობილება XVI საუკ. იტალიაში".

თემაში „საფრანგეთი XVI საუკ. და XVII საუკ. დასაწყისში" ამოღებულ იქნას ქვეთემა „საფრანგეთი XVI საუკ. 1-ლ ნახევარში".

თემა "ოცდაათწლიანი ომი" ამოღებულ იქნას; ომის შედეგების საკითხი შესწავლილ უნდა იქნას თემაში „გერმანია XVII და XVIII საუკ.".

თემა „ინგლისის რევოლუცია" გავლილ იქნას 5 საათში.

გარდა ამისა თემების „საფრანგეთი XII—XV საუკ.", „ინგლისი XII—XV საუკ.", „გერმანია XII—XV საუკ.", „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, კოლონიურ დაპყრობათა დასაწყისი", „რეფორმაცია და გლეხთა ომი გერმანიაში", „ინგლისი XVI საუკ." საათე-

ზის რაოდენობა თითო საათით უნდა შემცირდეს მასალის უფრო მოკლედ გადაცემის საშუალებით (თავისუფლდება 6 საათი).

ამრიგად სულ თავისუფლდება 16 სასწავლო საათი. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, რომ შუა საუკუნეების ისტორიის მასალის მნიშვნელოვანი ნაწილის გამეორება ხდება მოცემული წლის სასწავლო მასალის გავლასთან დაკავშირებით.

წინა კლასების პროგრამებიდან გამეორებულ უნდა იქნას (მოკლედ):

## ძველი ქვეყნების ისტორიიდან:

ეგვიპტის სახელმწიფოებრივი წყობილება, ეგვიპტის დაპყრობანი, ეგვიპტის კულტურა.

ბაბილონის სამეფო და მეფე ქამურაბის კანონები. ასურეთის დაპყრობანი. ასურეთ-ბაბილონის კულტურა.

ძველი ბერძნული ეპოსი. საბერძნეთის ვაჭრობა და კოლონიზაცია, სამხედრო ყოფაცხოვრება და საზოგადოებრივი თამაშობანი. სპარტის საზოგადოებრივი წყობილება. ათენის სახელმწიფოს წარმოშობა. სოლონის კანონები. კლისთენის რეფორმები. ბერძენ-სპარსელთა ომები. მონათმფლობელური დემოკრატიის აყვავება. პელოპონესის ომი და ათენის დაცემა. საბერძნეთის კულტურა (თეატრი, ხელოვნება, მეცნიერება). ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობანი.

პატრიციებისა და პლებეების ბრძოლა რომში. იტალიის დაპყრობა. რომის ლაშქარი. პუნიკური ომები. მონათა მდგომარეობა. გრაკხების რეფორმები. სპარტაკის ამბოხება. პირველი ტრიუმვირატი. რესპუბლიკის დაცემა. ოქტავიანე ავგუსტოს მმართველობა. მონათა რევოლუცია. ქრისტიანობა. რომის იმპერიის დაცემა.

**შუა საუკუნეების ისტორიიდან:** ბარბაროსული ტომები დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა ფრანკებში (ხლოდვიგ). კარლოს დიდი. ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ნიშნები.

კარლოს დიდის იმპერიის დაშლა. ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია IX—XI საუკუნეებში. დასავლეთ სლავები.

სლავთა კოლონიზაცია. ბიზანტიისა და რუსეთის ურთიერთობა.

ჯვაროსანთა პირველი და მეოთხე ლაშქრობა. ჯვაროსნების ლაშქრობათა მნიშვნელობა.

ქალაქები და ვაჭრობა. ქალაქების ბრძოლა სენიორების წინააღმდეგ და კლასობრივი ბრძოლა ქალაქებში.

რაინდთა კულტურა.

ბრძოლა იმპერატორებსა და პაპებს შორის XII საუკუნეში.

## გეოგრაფია

გეოგრაფიის VII კლასის კურსის შემოკლება მიზანშეწონილია მოხდეს სსრ კავშირის სარაიონო ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვის ხარჯზე, რისთვისაც პროგრამით გათვალისწინებული 45 საათის ნაცვლად მას უნდა დაეთმოს 30 საათი. ამით განთავისუფლდება 15 საათი წინა წლების მასალის გასამეორებლად. წინა კლასების კურსიდან გასამეორებლად უნდა ავიღოთ შემდეგი:

გეგმა და რუკა: ორიენტირება და კომპასის გამოყენება. ხაზოვანი და რიცხვითი მასშტაბი. რუკაზე მიმართულებათა და მანძილების განსაზღვრა. თვალზომური აგეგმვა. ტოპოგრაფიული რუკა და მისი მნიშვნელობა თავდაცვის საქმეში. ტოპოგრაფიული რუკის ამოკითხვა.

დედამიწის ზედაპირის ფორმები: ზედაპირის ძირითადი ფორმები და მისი გამოსახულება რუკაზე.

წყალი დედამიწაზე: მდინარის აუზი, წყალგამყოფი. მდინარეების საზრდოობა. მდინარეების მნიშვნელობა. ტბების წარმოქმნა და მათი სახეები. ტბის გარდაქმნა ჭაობებად და ტორფნარებად. ზღვებისა და ოკეანეების სარეწაო და სატრანსპორტო მნიშვნელობა.

დედამიწის ფორმა და მოძრაობა: დედამიწის ფორმა და სიდიდე, დედამიწის დღედალამური მოძრაობა. გრადუსთა ბადე. რუკაზე და ადგილგარემოში გეოგრაფიული სიგრძედისა და სიგანედის განსაზღვრა (ამოცანების გადაწყვეტა). ამოცანის გადაწყვეტა ადგილობრივი და სასაათო ზოლების განსაზღვრის საკითხებზე. წელიწადის დროთა წარმოშობა. სითბური სარტყლები. ტროპიკული და პოლარული წრეები.

დედამიწის სფეროს აგებულება: დედამიწის გარსები და დედამიწის ბირთვი. ვულკანის ამოფრქვევა და მისი გამომწვევი მიზეზები. მთათა წარმოქმნა. ხმელეთის საუკუნოებრივი რყევა. მიწისძვრის გამომწვევი მიზეზები.

ატმოსფერო (მთლიანად პროგრამის მიხედვით).

ხმელეთის ზედაპირის შეცვლა გარეგან ძალთა ზეგავლენით. ქარის, წყლისა და ყინვის მოქმედება. ძველი გამყინვარება.

ლანდშაფტური ზონები და ადამიანი. ნიადაგებისა და მცენარეების დამოკიდებულობა ჰავაზე. ლანდშაფტური ზონების მოკლე დახასიათება. დედამიწის მცხოვრებთა რაოდენობა და მათი განლაგება.

ქვეყნის ყველა ნაწილის მიხედვით გამეორებულ უნდა იქნას: სანაპირო ხაზი, რელიეფი, მთამადნეული, მდინარეები და ტბები, ლანდშაფტური ზონების მდებარეობა, ხალხთა განლაგება, სახელმწიფოები და მათი დედაქალაქები.

თითოეული ქვეყნის შესახებ მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ: გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებისა და მეურნეობის მთავარი ნიშნები, მოსახლეობა, სახელმწიფოებრივი წყობილება, დედაქალაქი, მთავარი ქალაქები, ახლანდელ მსოფლიო ომში მონაწილეობა.

## ზოოლოგია

ზოოლოგიის VI კლასის კურსიდან გამეორებულ უნდა იქნას:

უმარტივესთა ტიპი: ამება, მწვანე ევგლენა, ინფუზორია, ფოსტალა (აგებულება, მოძრაობა, საზრდოობა, გამრავლება).

ღრუნაწლავიანთა ტიპი: ჰიდრა (აგებულება, საზრდოობა, დაცვის საშუალებანი, გამრავლება).

ჭიების ტიპი: ჭიაყელა, მისი აგებულება და ცხოვრება. პარაზიტი ჭიები, ღორის სოლიტერი, ასკარიდა, მათი მოკლე ბიოლოგია.

ფეხსახსრიანთა ტიპი (ტიპისა და კლასების დახასიათება). მავნებელი მწერები: კომბოსტოს თეთრანა, მაისის ხოჭო. მათი მოკლე ბიოლოგია და მათთან ბრძოლის საშუალებანი. ოთახის ბუზი. მალარიის კოღო; მწერები—ადამიანის პარაზიტი, ადამიანისათვის სასარგებლო ჭიები: აბრეშუმის ჭია, ფუტკარი.

VI კლასის პროგრამის გასამეორებლად რამდენიმე საათი შეიძლება გამოიყოს VII კლასის კურსის ზოგიერთი თემის გავლისას.

## ფიზიკა

მიმდინარე სასწავლო წელს ფიზიკის VII კლასის კურსის ზოგიერთი თემა უფრო ნაკლებ ვადებში უნდა დამუშავდეს. მიზანშეწონილი იქნება შემცირდეს შემდეგი თემების დამუშავების დრო: 1) „სითბური ენერგია"; 2) "სითბური მანქანები"; 3) „ელექტროდენი"; 4) „ელექტროდენის წრედი"; 5) „ბუნებრივი და ხელოვნური მაგნიტები"; 6) „ელექტრომაგნიტური ინდუქცია". ამგვარად, VI კლასში გავლილი მასალის გასამეორებლად უნდა მივიღოთ 12 საათი.

VI კლასის კურსიდან ფიზიკაში გამეორებულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები:

სიგრძის, ფართობისა და მოცულობის გაზომვა. სიგრძის, ფართობისა და მოცულობის მეტრული საზომები. მასშტაბიანი სახაზავი.

მენზურა. სხეულის წონა. წონის მეტრული სახონები. სასწორი. აწონის ხერხები. კუთრი წონა. სხეულის წონის განსაზღვრა მისი მოცულობისა და კუთრი წონის მიხედვით.

ძალა და მისი გაზომვა. ზამბარიანი დინამომეტრის მოწყობილობა. წნევის გადაცემა სითხეებსა და გაზებში. ატმოსფერული წნევა. ტორიჩელის ცდა. ბარომეტრი. არქიმედის კანონი. სხეულთა ცურვა.

თანაბარი მოძრაობა, სიჩქარე, სიჩქარის ერთეულები, ხახუნი, სასარგებლო და მავნე ხახუნი; ხახუნის გადიდებისა და შემცირების საშუალებანი.

მუშაობა და სიმძლავრე. მათი ერთეულები. ენერგია. მარტივი მექანიზმები: ჭოჭონაქები, ბერკეტები, ოწინარი. მარგი მოქმედების კოეფიციენტის ცნება.

**შენიშვნა:** სადაც შესაძლებელია, VI კლასის კურსის პირველი სამი თემის გამეორება უნდა მოხდეს მყარ სხეულთა, სითხეთა და ჰაერის კუთრი წონის განსაზღვრაზე ლაბორატორიული მუშაობის მოწყობის საშუალებით, რისთვისაც აღნიშნული 12 საათიდან უნდა გამოიყოს 2 საათი.

## უცხო ენები

V—VI კლასის კურსიდან გამეორებულ უნდა იქნას:

**ინგლისურ ენაში;** მარტივი წინადადების სტრუქტურა მტკიცებითს, უარყოფითსა და კითხვითს ფორმაში; სიტყვათა მიმდევრობა ინგლისურ წინადადებაში. კითხვათა პასუხებში არსებითი სახელის ნაცვალსახელით შეცვლა, Ther is ar-ის სხვადასხვა გამოყენება.

არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვი VI კლასის პროგრამით გათვალისწინებული მოცულობით. არტიკლის ხმარების ძირითადი წესი. პირველი ნაცვალსახელი, მისი ობიექტური ბრუნვა. რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელი:

Present Judefinite, Present Continous. Past, Future Indefinite სამი სახე. უკმარი ზმნები can, must. V და VI კლასების პროგრამით გათვალისწინებული თანდებულები. ინგლისური ენის ფონეტიკის ძირითადი წესები V კლასის პროგრამის მიხედვით.

**ფრანგულ ენაში:** მარტივი წინადადების სტრუქტურა მტკიცებითს, უარყოფითსა და კითხვითს ფორმაში. წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები.

არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოქმნის ზოგადი წესი—Present de li'ndicatif, Impératif.

V—VI კლასების პროგრამაში აღნიშნულ I და II ჯგუფის ზმნათა Passé composé, Participe Passé.

განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლი. მისი მოცილების შემთხვევები, რომლებიც აღნიშნულია V—VI კლასების პროგრამაში. ზედსართავთა მრავლობითი რიცხვის წარმოქმნის ზოგადი წესები. რაოდენობითი და რიგითი რიცხვითი სახელები. ნაცვალსახელები, რომლებიც იხმარება როგორც ქვემდებარე. V კლასის პროგრამაში აღნიშნული ფონეტიკის ძირითადი წესები.

**გერმანულ ენაში:** მარტივი, ვრცელი წინადადების სტრუქტურა მტკიცებითს, კითხვითს და უარყოფითს ფორმაში. სიტყვათა პირდაპირი და შებრუნებული მიმდევრობა. მარტივი და რთული შემასმენელი. არტიკლი, მისი ხმარება საკუთარი სახელების წინ, თანდებულებთან შერთვა. ზედსართავი, როგორც შემასმენელი. რაოდენობითი რიცხვითი სახელები. სუსტი და ყველაზე უფრო ხშირად ხმარებული ძლიერი ზმნების Praesens, Imperfekt, Perfekt. Imperativ-ის ხმარება. თანდებულები V—VI კლასის პროგრამის მიხედვით. რთული არსებითი სახელები.

წინა კლასებში გავლილი მასალის გასამეორებლად დროის გამოყოფის საჭიროებასთან დაკავშირებით, 1945/46 სასწავლო წელს VII კლასში გასავლელ ტექსტთა რიცხვი შემდეგნაირად განისაზღვრება:

**ინგლისურ ენაში:** 11 ტექსტი: §§ 1—9; §§ 13, 14.

**ფრანგულ ენაში:** 10 ტექსტი: §§ 2, 3, 7, 9, 11, 12, 13, 15, 16,21.

**გერმანულ ენაში:** 10 ტექსტი: §§ 2, 3, 5, 7, 9, 14, 18, 24, 35. (სახელმძღვანელოს დანართიდან).

სახელმძღვანელოში მოთავსებული სტატიები, რომლებიც კლასში გავლილი არ არის, მასწავლებლის მიერ გამოყენებულ უნდა იქნას როგორც მოსწავლეთა კლასგარეშე დამოუკიდებელი კითხვისათვის განკუთვნილი მასალა.

აქ აღნიშნული მთელი გრამატიკული მასალა და ლექსიკა V—VI კლასების თემებისა (სკოლა, შინაური ცხოვრება, ოჯახი, წელიწადის დრონი და სპორტი) გამეორებულ უნდა აქნას VII კლასის საპროგრამო მასალის შესწავლასთან დაკავშირებით.

## III. მეათე კლასი

## ქართული ენა

X კლასში გამეორებულ უნდა იქნას VII კლასის ქართული ენის პროგრამულ მასალასთან ერთად ამ კლასისათვის გათვალისწინებული გასამეორებელი საკითხებიც.

F 800

X კლასში ქართული ენის გამეორებისათვის უნდა გამოიყოს ერთი კვირეული საათი სასწავლო გეგმის გადამეტებით.

## ქართული ლიტერატურა

**ფოლკლორი.** შრომითი სიმღერები. ამირანი. ეთერი. საბჭოთა ფოლკლორი.

ძველი მწერლობა: იაკობ ცურტაველი—„შუშანიკის წამება", შ. რუსთაველი — „ვეფხის-ტყაოსანი", თეიმურაზი—„ვარდბულბულიანი", სულხან-საბა ორბელიანი—„სიბრძნე სიცრუისა", დ. გურამიშვილი—„ქართლის ჭირი", „სწავლა მოსწავლეთა", ბესიკი—„ტანო ტატანო", „სევდის ბაღი".

ა. ჭავჭავაძე—„გოგჩა", „სიყვარულო, ძალსა შენსა", „ვაჰ დრონი, დრონი".

გრ. ორბელიანი—„სადღეგრძელო", „საღამო გამოსალმებისა".

ნ. ბარათაშვილი—„შემოღამება მთაწმინდაზე", „მერანი", „სული ბოროტი", „ბედი ქართლისა", „სული ობოლი", „ჩემს ვარსკვლავს", „ფიქრი მტკვრის პირას", „საფლავი მეფის ირაკლისა", „რად ჰყვედრი კაცსა", „ჩინარი", „ვპოვე ტაძარი".

გიორგი ერისთავი—„ძუნწი", „გაყრა".

ლ. არდაზიანი—„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი".

დ. ჭონქაძე—„სურამის ციხე".

ილ. ჭავჭავაძე—„ელეგია", „ჩემო კარგო ქვეყანავ", „ქართლის დედას", „გუთნის დედა", „ჩემო კალამო", „პოეტი", „პასუხის პასუხი", „ბაზალეთის ტბა", „ბედნიერი ერი", „აჩრდილი", „განდეგილი", „მგზავრის წერილები", „ოთარაანთ ქვრივი", „კაცია ადამიანი?!", „გლახის ნაამბობი".

აკ. წერეთელი—„აღმართ აღმართ", „განთიადი", „პოეტი", „გაზაფხული", „მუშური", „თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ". „ხანჯალი", „თქვენი ჭირიმე", „ჭაღარა", „ჩანგური", „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია", „იმერული ნანა", „თორნიკე ერისთავი", „გამზრდელი" „ბაში-აჩუკი".

გ. წერეთელი—„პირველი ნაბიჯი".

ვაჟა-ფშაველა—„სტუმარ-მასპინძელი", „ქუჩი", „არწივი", „ჩივილი ხმლისა", „სიმღერა".

ალ. ყაზბეგი—„ელისო", „ხევისბერი გოჩა".

ეგ. ნინოშვილი—„გოგია უიშვილი", „მოსე მწერალი", „პალიასტომის ტბა", „ჩვენი ქვეყნის რაინდი".

დ. კლდიაშვილი—„სამანიშვილის დედინაცვალი".

ირ. ევდოშვილი—„მეგობრებს", „ქარიშხალი".

გ. ტაბიძე—„ჩვენ პოეტები საქართველოსი", „არჩევს ახალი სიცოცხლის აკვანს", „სტალინი".

ა. პუშკინი—„ევგენი ონეგინი".

მ. ლერმონტოვი—„პოეტის სიკვდილი".

ნ. გოგოლი—„რევიზორი".

სალტიკოვ-შჩედრინი—„ბრძენთა ბრძენი ჭიჭყინა".

ლ. ტოლსტოი—„ჰაჯი მურატი".

ლიტერატურის თეორიიდან—VIII და IX კლასების პროგრამით გათვალისწინებული საკითხები.

X კლასის ქართული ლიტერატურის პროგრამიდან 1945/46 სასწავლო წელს ამოღებულია ნ. ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონი", ს. შანშიაშვილის „არსენა", კ. ლორთქიფანიძის „იმერეთი".

## РУССКИЙ ЯЗЫК

В X классе необходимо повторить по грамматике:

фонетика. Главнейшие случаи чередования гласных и согласных.

Правописание безударных гласных.

Слово и его состав.

Суффиксы имен существительных.

Склонение существительных:

Существительные, употребляемые только в единственном или только во множественном числе.

Порядок разбора существительных: собственное или нарицательное, род, число, падеж, склонение. Значение падежей.

Глагол. Порядок разбора глаголов (наклонение, время, лицо, число, род, вид, спряжение).

Отглагольные формы: причастие и деепричастие, их образование, суффиксы причастий.

Черты общие у причастия с глаголом и прилагательным. Черты общие у деепричастия с глаголом и наречием.

Местоимение. Разряды местоимений, склонение местоимений.

Наречие. Образование наречий от других частей речи.

Предлог. Значение и роль предлогов. важнейшие значения и случаи употребления предлогов.

Частицы. роль и значение частиц.

Приложение. Смысловое значение приложения.

Связь слов в предложении: согласование, управление, примыкание.

Слова, стоящие вне предложения: обращение, вводные слова и вводные предложения, междометие.

Типы простого предложения.

Выражение членов предложения частями речи.

Эпитеты, метафоры, синонимы, омонимы, художественные сравнения.

## ЛИТЕРАТУРНЫЙ МАТЕРИАЛ

1. Крылов—Жизнь и творчество.
2. „ „Квартет“.
3. „Волк на псарне“.
4. Пушкин—„Няня“.
5. „ „Осень и зима“.
6. „ „Узник“.
7. „ „Кавказ“.
8. „ „Чаадаеву“.
9. „ „Послание в Сибирь“.
10. „ „Капитанская дочка“ (отрывки).
11. „ „Дубровский“.
12. „ „ Цыгане“.
13. Лермонтов—„Три пальмы“.
14. „ „Беглец“.
15. „ „Бородино“.
16. Гоголь—„Тарас Бульба“.
17. Некрасов—„Забытая деревня“.
18. Тургенев—Жизнь и творчество.
19. „ „Бурмистр“.
20. Горький—„Мои университеты“.
21. Салтыков-Щедрин—Биография.
22. „ „Мавруша-Новоторка“.
23. Островский—„Как закалялась сталь“.
24. Маяковский—„Марш комсомольца“.

## ი ს ტ ო რ ი ა

მიმდინარე სასწავლო წელს ისტორიის პროგრამა X კლასში გავლილ უნდა იქნას უფრო მოკლე ვადებში, სახელდობრ: თემა „მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია“ გავლილი უნდა იქნას 5 საათის ნაცვლად 4 საათში; „სამოქალაქო ომი განაპირა

ქვეყნებში“—ნაცვლად 3 საათისა 2 საათში; „სოციალიზმის მშენებლობის დასრულებისათვის ბრძოლა. სტალინური კონსტიტუცია“—ნაცვლად 10 საათისა 7 საათში.

„საქართველოს გაერთიანება“—ნაცვლად 4 საათისა 3 საათში; „საქართველოს სამეფოს დაშლა XV საუკუნეში“—ნაცვლად 3 საათისა 2 საათში; „საქართველო—წინააზიის უძლიერესი სახელმწიფო“—ნაცვლად 6 საათისა 5 საათში; „მონღოლთა ბატონობა საქართველოში“—ნაცვლად 8 საათისა 6 საათში; „ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის“—ნაცვლად 7 საათისა 5 საათში; „საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის—XVII საუკუნეში“—ნაცვლად 5 საათისა 3 საათში; „საქართველო XVIII ს. მეორე ნახევარში“—ნაცვლად 10 საათისა 8 საათში. საქართველოს ისტორიის გამეორებისათვის გამოყოფილი 10 საათი შემცირდეს 7 საათამდე.

ამრიგად, სულ მივიღებთ 19 საათს, რაც უნდა მოხმარდეს ახალი ისტორიისა და სსრკ ისტორიის ძირითადი მასალის გამეორებას.

წინა წლების კურსიდან გამეორებულ უნდა იქნას:

**ახალ ისტორიაში:** სამრეწველო გადატრიალების დასაწყისი ინგლისში.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია XVIII საუკ. (რევოლუციის მიზეზები, მსხვილი ბურჟუაზიის ხელისუფლება, ჟირონდისტების ხელისუფლება, იაკობინელთა დიქტატურა).

ნაპოლეონის დაპყრობითი ომები და ნაპოლეონის დამარცხება რუსეთთან ომში 1812 წელს.

ვენის კონგრესი და „საღმრთო კავშირი“.

ჩარტიზმი ინგლისში და ჩარტისტული მოძრაობის დამარცხების მიზეზები.

მარქსი და ენგელსი (მეცნიერული კომუნიზმის წარმოშობა). „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

1848 წლის რევოლუცია საფრანგეთში (თებერვლის რევოლუცია. ივნისის აჯანყება პარიზში. 1851 წ. 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალება და იმპერიის დამყარება).

1848 წლის რევოლუცია გერმანიაში (რეაქციული პრუსიული წესები. რევოლუციის დასაწყისი გერმანიაში. მარქსისა და ენგელსის ტაქტიკა 1848 წ. რევოლუციაში. რევოლუციის დამარცხების მიზეზები).

სამოქალაქო ომი ჩრდილოეთ ამერიკაში (ომი დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების წარმოქმნა. შეერთებული შტატები XIX საუკ. 1-ლ ნახევარში. სამოქალაქო ომი ჩრდილოეთ ამერიკაში და მისი მნიშვნელობა).

გერმანიის გაერთიანება (ბისმარკი და მისი პროგრამა პრუსიის მეთაურობით გერმანიის გაერთიანებისა. ბისმარკი, როგორც რეაქციონერ პრუსიელთა ტიპიური წარმომადგენელი).

I ინტერნაციონალი. მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის შექმნა. I ინტერნაციონალის მნიშვნელობა.

საფრანგეთ-პრუსიის ომი და პარიზის კომუნა (მეორე იმპერიის კრიზისი და საფრანგეთ-პრუსიის ომი. პარიზის კომუნა. კომუნის დაღუპვის მიზეზები და მისი ისტორიული მნიშვნელობა).

გერმანია XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისს (გერმანიის იმპერიის პოლიტიკური წყობილება. პრუსიის ჰეგემონია გერმანიის იმპერიაში. რეაქციონერ პრუსიელთა გავლენა გერმანიაში. გერმანიის იმპერიალიზმი და მისი აგრესიული საგარეო პოლიტიკა პანგერმანიზმისა. მსოფლიოს ძირეული გადანაწილებისათვის ომის მზადება. ოპორტუნიზმი გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში).

საფრანგეთი მე-19 საუკუნის დამლევს და მე-20 საუკუნის დასაწყისს (საფრანგეთის ეკონომიური განვითარების თავისებურებანი. რესპუბლიკისათვის ბრძოლა, საფრანგეთი იმპერიალიზმის ეპოქაში)

ინგლისი XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისს (ეკონომიური განვითარება. ინგლისის პოლიტიკური წყობილება. მუშათა პარტიის შექმნა. ინგლის-გერმანიის მეტოქეობა).

ამერიკის შეერთებული შტატები XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისს (ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური განვითარება. ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო პირველობა XX საუკუნის დასაწყისისათვის. პოლიტიკური წყობილება).

საერთაშორისო ურთიერთობა XIX საუკუნის დამლევს და XX საუკ. დასაწყისს (ორი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების შექმნა ევროპაში და დიდ სახელმწიფოთა ბრძოლა მსოფლიოს გაყოფისათვის. პირველი მსოფლიო ომის მომზადება).

იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადია.

პირველი მსოფლიო ომი (მსოფლიო ომის დასაწყისი. ომის მსვლელობა. II ინტერნაციონალის კრახი და ბოლშევიკების ბრძოლა III ინტერნაციონალის შექმნისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და რუსეთის რევოლუციური გამოსვლა ომიდან. გერმანიის სამხედრო დამარცხება. პირველი მსოფლიო ომის დასასრული).

**სსრკ ისტორიაში:** უძველესი სახელმწიფოები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე (ურართუ, სკვითები).

სლავები და კიევის სახელმწიფო (აღმოსავლეთ სლავების გაერთიანება კიევის ხელქვეით. ქრისტიანობის შემოღება კიევის რუსეთში. ფეოდალური ურთიერთობის განვითარება. „რუსკაია პრავდა“. კიევის რუსეთის კულტურა. კიევის სახელმწიფოს საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობა).

აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ფეოდალური დაქუცმაცება (ფეოდალურ სამთავროთა წარმოქმნა კიევის რუსეთის ტერიტორიაზე. დანიელ გალიჩელი. ანდრია ბოგოლუბსკი. ნოვგოროდის ქვეყანა. მონღოლების მიერ აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობა XIII საუკ. ნოვგოროდისა და ფსკოვის ბრძოლა გერმანელ და შვედ ფეოდალთა წინააღმდეგ. ალექსანდრე ნეველი. მოსკოვის ამაღლება. კულიკოვოს ბრძოლა და მისი ისტორიული მნიშვნელობა).

ამიერკავკასია XI—XII სს.

რუსეთის ნაციონალური სახელმწიფოს წარმოქმნა. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ რუსეთის გაერთიანება. ივანე III. თათარ-მონღოლთა უღლის გადაგდება. რუსეთის სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური წყობილება. მოსკოვის საერთაშორისო მდგომარეობა ივანე III დროს.

რუსეთის სახელმწიფოს გაფართოება და თვითმპყრობელური წყობილების დამყარება. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება. მეფე ივანე IV მიერ ქვეყნების დაპყრობა. ოპრიჩნიკები. ლივონიის ომი. ლივონიის ორდენის განადგურება რუსეთის ჯარების მიერ).

გლეხთა ომი და რუსეთის სახელმწიფოს ბრძოლა პოლონეთისა და შვეციის ინტერვენციასთან XVII საუკ. დასაწყისში (ცრუდიმიტრი I. ბოლოტნიკოვის ლაშქრობა მოსკოვზე. რუსი ხალხის ბრძოლა პოლონელ დამპყრობთა წინააღმდეგ. სახალხო გმირები—მინინი და პოჟარსკი).

უკრაინა და ბელორუსია XVII საუკ. (უკრაინელი ხალხის ბრძოლა პოლონეთის ბატონობის წინააღმდეგ—ბოგდან ხმელნიცკი).

სახალხო აჯანყება სტეფანე რაზინის წინამძღოლობით.

რუსეთის სახელმწიფოს კულტურა და განათლება XVII საუკუნეში. რუსეთის იმპერიის წარმოქმნა. პეტრე დიდი. შვეციასთან ომი პეტრე დიდის დროს. პეტრე დიდის ეკონომიური პოლიტიკა და რეფორმები სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. არმიის გადახალისება და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნა. განათლება და კულტურული აღმავლობა XVIII საუკ. 1-ლ ნახევარში.

ბატონყმური მეურნეობა XVIII საუკ. მე-2 ნახევარში.

გლეხთა ომი პუგაჩოვის წინამძღოლობით (საშინაო და საგარეო

პოლიტიკა ეკატერინე II დროს. რუსეთის დიდი მხედართმთავარი ა. ვ. სუვოროვი).

1812 წ. სამამულო ომი (რუსეთის დიდი მხედართმთავარი მ. ი. კუტუზოვი. 1812 წ. ომის სახალხო ხასიათი).

დეკაბრისტების აჯანყება.

ნიკოლოზ I თვითმპყრობელობა. ბატონყმური მეურნეობის შემდეგომი რღვევა. ნიკოლოზ I ეკონომიური პოლიტიკა.

ყირიმის ომი (სევასტოპოლის გმირული დაცვა ყირიმის ომში. მეფის რუსეთის დამარცხების მიზეზები).

კაპიტალიზმის განვითარება მეფის რუსეთში. 60-ნი წლების ბურჟუაზიული რეფორმები. კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და ვაჭრობაში რეფორმების შემდეგ. ხალხოსნობა და 70-ანი წლების მუშათა მოძრაობა. მარქსისტული პარტიისათვის ბრძოლის დასაწყისი რუსეთში. სამრეწველო კაპიტალიზმის აღმავლობა. ლენინისა და სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი. განათლება, მეცნიერება და ხელოვნება XIX საუკ. დასასრულს.

## მათემატიკა

წინა წლების კურსიდან მათემატიკაში გამეორებულ უნდა იქნას:

ა) **არითმეტიკაში**—სისტემატური კურსი VII კლასის გამოცდისათვის ზემოთ აღნიშნული მოცულობით;

ბ) **ალგებრაში**—კვადრატული განტოლებანი და უმაღლესი ხარისხის განტოლებანი, რომლებიც კვადრატულ განტოლებაზე დაიყვანება; მეორე ხარისხის ორუცნობიან განტოლებათა სისტემა, პროგრესიები, მაჩვენებლიანი ფუნქცია და ლოგარითმები;

გ) **გეომეტრიაში**—მსგავსი ნაკვთები, მეტრული თანაფარდობანი სამკუთხედსა და წრეში, წესიერი მრავალკუთხედები, წრეხაზის სიგრძე, ფართობების გაზომვა და მთელი სტერეომეტრია;

დ) **ტრიგონომეტრიაში**—გონიომეტრია.

## ფიზიკა

მიმდინარე სასწავლო წელს X კლასში თემების მიხედვით სასწავლო საათები შემდეგნაირად უნდა განაწილდეს:

„ელექტრული ველი“—8 საათი; „ელექტრული წრედის კანონები“—10 საათი; „მაგნიტური ველი“—5 საათი; „დენი ელექტროლიტებში“—4 საათი; „დენი გაზებში“—4 საათი; „ელექტრომაგნიტური ინდუქცია“—4 საათი; „გენერატორები, ძრავები და ტრანსფორმატორები“—6 საათი; ელექტრომაგნიტური რხევები და ტალღები“—2 საათი; „სინათლის წყაროები, საგნების განათებულობა

და სინათლის სიჩქარე“—4 საათი; „სინათლის მოვლენები ორი გარემოს საზღვარზე“—6 საათი; „სფერული სარკეები და ლინზები“—10 საათი; „სინათლის ტალღური თეორიის საფუძვლები“—4 საათი „დისპერსია და გამოსხივება“—8 საათი.

იმ თემების შესწავლა, რომლებსაც თავის მოცულობის მიხედვით დათმობილი აქვთ მცირე დრო („ელექტრომაგნიტური რხევები და ტალღები“, „სინათლის ტალღური თეორიის საფუძვლები“ და სხვა), უნდა მოხდეს მიმოხილვითი ლექციების სახით, რათა ამ საკითხებზე მოსწავლეებს მიეცეთ ძირითადი და ზოგადი წარმოდგენა.

ამრიგად, ფიზიკის შესასწავლად X კლასისათვის განკუთვნილი 99 საათიდან 76 საათი დაეთმობა X კლასის მასალის შესწავლას, ხოლო 24 საათი—VIII და IX კლასებში შესწავლილი მასალის გამეორებას. ფიზიკაში XIII და IX კლასების კურსიდან გამეორებულ უნდა იქნას:

მექანიკა. თანაბარი სწორხაზოვანი მოძრაობა. თანაბარი მოძრაობის სიჩქარე. სიჩქარის ერთეულები. თანაბარი მოძრაობის განტოლება. თანაბარცვლადი მოძრაობა. აჩქარება. აჩქარების ერთეულები. თანაბარცვლადი მოძრაობის, სიჩქარისა და მანძილის ფორმულები.

ნიუტონის პირველი კანონი. მასა. ძალა. ნიუტონის მეორე კანონი. თანაფარდობა ძალას, მასასა და აჩქარებას შორის. ერთეულთა CGS სისტემა. კგ. ძალის ერთეული და მისი გამოსახვა დინებში. ნიუტონის მესამე კანონი—მოქმედებისა და უკუმოქმედების ტოლობის კანონი. თავისუფალი ვარდნის კანონი.

თავისუფალი მოძრაობა: ა) ვერტიკალურად ასროლილი სხეულის მოძრაობა; ბ) ჰორიზონტალურად გასროლილი სხეულის მოძრაობა. გ) ჰორიზონტისადმი დახრილად გასროლილი სხეულის მოძრაობა, დ) ყუმბარის მოძრაობა.

ბრუნვითი მოძრაობა. ცენტრისკენული აჩქარების ფორმულა (გამოუყვანლად). ცენტრისკენული და ცენტრიდანი ძალა. ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონი.

მუშაობა და სიმძლავრე. მათი ერთეულები. ენერგია. კინეტიკური და პოტენციალური ენერგია. ენერგიის გადაქმნისა და მუდმივობის კანონი მექანიკურ პროცესებში.

კუთხით მიმართული ძალების შეკრება. ძალების დაშლა კუთხით მიმართულ ორ შემადგენელ ძალად. დახრილი სიბრტყე. ერთ მხრივ მიმართული პარალელური ძალების შეკრება. სიმძიმის ცენტრი. სიმძიმის ცენტრის ცდით განსაზღვრა. სხეულის სხვადასხვა მდებარეობა სიმძიმის ძალის მოქმედებით, როცა სხეულს აქვს: ა) საყრდენი ღერძი; ბ) საყრდენი ფართობი.

**რხევები, ტალღები, ბგერა.** მათემატიკური ქანქარა; პერიოდი, სიხშირე, ამპლიტუდა. ქანქარის რხევის კანონი. განივი და სიგრძივი ტალღები. ტალღის სიგრძე. დამოკიდებულება რხევის გავრცელების სიჩქარესა, ტალღის სიგრძესა და რხევის სიხშირეს შორის. რეზონანსი. მბგერავი სხეულის რხევა. ბგერითი ტალღების გავრცელება. ბგერის სიჩქარე. ტონის სიმაღლე. ბგერის ხმიანობა. ბგერის ტემბრი. ბგერითი რეზონანსი.

**ჰიდრო და აეროდინამიკა.** წნევა. წნევის ერთეული: პასკალის კანონი. ჰიდრავლიკური წნეხი. სითხის წონასწორობა ზიარ ჭურჭელში. არქიმედის კანონი. ცურვის პირობები. სხეულის კუთრი წონის განსაზღვრის ჰიდროსტატიკური ხერხი. ატმოსფერული წნევის გაზომვა. ბარომეტრი.

**სითბო.** ენერგიის მუდმივობის კანონი მექანიკურ და სითბურ პროცესებში. სითბოს მექანიკური ექვივალენტი. სათბობის სითბური უნარი. სითბური ბალანსის განტოლება და მისი გამოყენება ნარევის ტემპერატურისა და კუთრი სითბოტევადობის განსაზღვრისათვის. სხეულთა გაფართოება გათბობისას. მყარ სხეულთა ხაზოვანი და მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტი. გახურებული სხეულის სიგრძისა და მოცულობის ფორმულები. სითხეთა გაფართოება გათბობისას. დიფუზიის მოვლენა და ბროუნის მოძრაობა, როგორც მოლეკულების არსებობის დამამტკიცებელი საბუთი.

ბოილ-მარიოტის კანონი. გრაფიკი. გაზის სიმკვრივის დამოკიდებლება წნევაზე. გაზის სითბური გაფართოება. გე-ლუსაკის კანონი. აბსოლუტური ნული. ტემპერატურათა აბსოლუტური სკალა. ბოი-ლმარიოტისა და გე-ლუსაკის გაერთიანებული კანონი.

სითხეთა ზედაპირული დაჭიმვა.

დეფორმაციის სახეები. ჰუკის კანონი.

დნობა და გამყარება: დნობისა და გამყარების ტემპერატურა. დნობის სითბო. სხეულის მოცულობის ცვლა დნობის და გამყარების დროს. წნევის გავლენა დნობის წერტილზე.

**ორთქლი.** ნაჯერი და არანაჯერი ორთქლი. დუღილი. ორთქლის წარმოქმნის სითბო. გაზების გათხევადების ცნება. გაზის მუშაობა მუდმივი წნევის დროს. ორთქლის მანქანის მოწყობილობის სქემა. ოთხტაქტიანი ძრავის მოწყობილობის სქემა.

## ქ ი მ ი ა

ქიმიაში პროგრამით გათვალისწინებული მასალა არ უნდა შემცირდეს, რადგან X კლასში თავისებურად არის აგებული წინა წლებში შესწავლილი მასალის გასამეორებელი თემა, გარდა თემისა: „ლი-

თონები". IX კლასის ეს თემა განსაკუთრებით უნდა იქნას გამეორებული. X კლასის პროგრამით საკმაო რაოდენობით არის გათვალისწინებული გასამეორებლად საჭირო საათები.

## უცხო ენები

წინა წლების კურსიდან გამეორებულ უნდა იქნას:

**ინგლისურ ენაში:** მარტივი, ვრცელი, რთული დაქვემდებარებული წინადადებების სტუქტურა. მთავარი და დამოკიდებული წინადადების დროის შეთანხმება. პირდაპირი და არაპირდაპირი არტიკლის ხმარება და მისი მოცილების შემთხვევები. არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის წარმოქმნა. ზმნათა უღვლილება VIII—IX კლასის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დროში. უკმარი ზმნები და მათი ექვივალენტები. არსებითი სახელების, ზედსართავებისა და ზმნათა უმნიშვნელოვანესი სუფიქსები და პრეფიქსები. ზედსართავების შედარებითი ხარისხების წარმოქმნა. ინგლისური ენის ფონეტიკის ძირითადი წესები.

**ფრანგულ ენაში:** მარტივი, ვრცელი, რთული შედგენილი, რთული დამოკიდებული წინადადების სტრუქტურა. ყველა დროს ხმარება. აღნიშნულ ზმნათა წარმოქმნა. კუთვნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელები. პროგრამაში აღნიშნული თანდებულების ხმარება. არსებითი სახელების, ზედსართავების სუფიქსები და პრეფიქსები. ფრანგული ენის ფონეტიკის ძირითადი წესები.

**გერმანული ენაში:** მარტივი, ვრცელი, რთული დამოკიდებული და რთული შედგენილი წინადადების სტრუქტურა. სიტყვათა მიმდევრობა მთავარ და დამოკიდებულ წინადადებაში. სიტყვის ნაწილთა ფუნქციები წინადადებაში. არსებითი სახელების ბრუნება. პირთა, კუთვნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება. გერმანული ენის ფონეტიკის ძირითადი წესები.

X კლასის სახელმძღვანელოს ტექსტების ლექსიკის შეთვისებასთან ერთად გამეორებულ უნდა იქნას ყველაზე ხშირად სახმარი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ეხება საყოფაცხოვრებო თემატიკას და წინა კლასებში გავლილი სამხედრო ლექსიკა.

მასწავლებლის შერჩევით სახელმძღვანელოს ტექსტთა ნაწილი კლასში უნდა დამუშავდეს მისი ხელმძღვანელობით, დანარჩენი ნაწილი კი გამოყენებულ უნდა იქნას მოსწავლეთა დამოუკიდებელი კითხვისათვის.

დაწყებითი და საშუალო სკოლის

სამმართველოს უფროსი—**უშ. იბოლაძე**

---

# ბრძანება № 2820

## საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

### 1945 წ. 26 ოქტომბერი

### გურჯაანის რაიონის სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მდგომარეობის შესახებ

განვიხილე რა გურჯაანის რაიონის სკოლების შემოწმების შედეგები, აღვნიშნავ, რომ სკოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 ივნისის დადგენილების საფუძველზე გურჯაანის რაიონის ზოგიერთი სკოლაში გაუმჯობესებული იქნა ცალკე საგნების სწავლება. შაშიანის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი თ. მანჯავიძე, ქ. გურჯაანის და მუკუზნის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. ქავთარაძე და გ. მიტიჩაშვილი, შაშიანის საშუალო სკოლის დირექტორი—ისტორიის მასწავლებელი შ. ჩეკურიშვილი, ს. გურჯაანის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ნ. ნატროშვილი, კ. როსტოშვილი, მ. თეგაშვილი, ამავე სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი თ. ბეზარაშვილი, მუკუზნის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი—ისტორიის მასწავლებელი ივ. ყაჭიური, ქ. გურჯაანის საშუალო სკოლის მათემატკის მასწავლებელი ზ. რაქვიაშვილი და ზოგიერთნი სხვანი კარგად არიან დაუფლებულნი თავიანთ საგნებს, სწავლების მეთოდებს და გაკვეთილებს ატარებენ მაღალხარისხოვნად, რის შედეგად მოსწავლეები ამ საგნებში მასალის საკმაო ცოდნას ამჟღავნებენ.

მიუხედავად ამისა, გურჯაანის რაიონის მრავალ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაში ადგილი აქვს დიდ ჩამორჩენას. 1944—45 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით მოსწავლეთა უმრავლესობის მიერ მთელ რიგ საგნებში გავლილი მასალა არ არის დაძლეული და მათი ცოდნის დონე ძალზე დაბალია. წლის ბოლოს რაიონის სკოლებში გაერთიანებული 7813 მოსწავლიდან გადავიდა შემდეგ კლასებში ან დაამთავრა სკოლა 3100 მოსწავლემ, ხოლო ცალკეულ სკოლებსა და კლასებში ამ მხრივ კიდევ უფრო ცუდი

მდგომარეობაა. ასე მაგალითად, შრომის საშუალო სკოლის 338 მოსწავლიდან იმავე კლასებში დატოვებულია 127 მოსწავლე; შაშიანის საშუალო სკოლის 467 მოსწავლიდან—226 მოსწავლე, ველისციხის საშუალო სკოლაში 946 მოსწავლიდან—550 მოსწავლე, ს. გურჯაანის საშუალო სკოლაში 506 მოსწავლიდან—302 მოსწავლე და ა. შ.

ურიათუბნის საშუალო სკოლის (მასწ. ვ. გეთიაშვილი) მე-9 კლასის 32 მოსწავლიდან, 30 მოსწავლემ წლის ბოლოს მათემატიკაში მიიღო „2", შაშიანის საშუალო სკოლის მე-9 კლ. 27 მოსწავლიდან ფიზიკაში (მასწ. ი. დილმელაშვილი) წლის ბოლოს დამაკმაყოფილებელი შეფასება მხოლოდ ერთმა მოსწავლემ მიიღო. ველისციხის საშუალო სკოლაში მე-5 კლასის 121 მოსწავლიდან, არითმეტიკაში (მასწ. ბ. კარაპეტოვი) ვერ ასწრებდა 115 მოსწავლე. ს. გურჯაანის საშუალო სკოლის 136 მოსწავლეს ჰქონდა საშემოდგომო გამოცდა. მათგან 121 მოსწავლე სრულიად მოუმზადებელი გამოცხადდა გამოცდებზე და დატოვებული იქნა იმავე კლასში და ა. შ.

ასეთი ჩამორჩენა შედეგია იმისა, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი მუშაობაში სრულ უპასუხისმგებლობას იჩენდა, ზერელედ, ფორმალურად ეკიდებოდა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეს: არ ზრუნავდა პედაგოგიურ-მეთოდურ კვალიფიკაციის ამაღლებაზე, არ ემზადებოდა გაკვეთილისათვის, გაკვეთილს ატარებდა უშინაარსოდ და ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე, მოსწავლეებში არ ნერგავდა დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, არ აღრმავებდა მათში სწავლისადმი ინტერესს, საგანს არ ასწავლიდა არსებული ოფიციალური პროგრამის მიხედვით, ხოლო მოსწავლეთა ცოდნას აფასებდა ამ პროგრამების საფუძველზე საქართველოს სსრ განსახკომის მიერ შემუშავებული საგამოცდო ბილეთების მიხედვით.

გურჯაანის რაიონის მრავალმა სკოლამ გასული წლის შედეგებიდან ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები, შრომის, ს. გურჯაანის და ველისციხის საშუალო სკოლები, კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ამ სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არ უწევენ სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას მასწავლებლების მუშაობას, იშვიათად ამოწმებენ მათ გეგმებს, გაკვეთილებს, გაკვეთილებზე დასწრების შედეგებს არ იხილავენ პედაგოგიური საბჭოებისა და საგნობრივი კომისიების სხდომებზე, კონკრეტულ დახმარებას არ უწევენ მასწავლებლებს სწავლების პროცესში და კმაყოფილდებიან ზერელე და ფორმალური ხასიათის მითითებებით. ამის შედეგია ის, რომ სავსებით უხარისხოდ და მოუმზადებლად ატარებენ გაკვეთილებს. წელსაც შრომის საშუალო სკოლის გეო-

გრაფიის მასწავლებელი თ. ცაცაბაშვილი, ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. ქონენაშვილი, ველისციხის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი კარაპეტოვი, ს. გურჯაანის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ე. ზვერიაშვილი, ამავე სკოლის რუსული ენის მასწავლებელი თ. გურგენიძე.

განათლების განყოფილების მხრივ გურჯაანის რაიონის სკოლები მოკლებული არიან სისტემატურ კონტროლსა და ხელმძღვანელობას განათლების განყოფილება არ აწარმოებს სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის სისტემატურად შემოწმებას, არ ახდენს სკოლებში არსებული მიღწევებისა და ნაკლის გამოვლინებას, საუკეთესო სკოლისა და მასწავლებლის გამოცდილებათა განზოგადოებას და არ ეხმარება მასწავლებლებს მათ მუშაობაში არსებული დეფექტების გამოსწორებაში.

გურჯაანის სკოლებში არსებული გარღვევების უახლოესი დროში გამოსწორების მიზნით, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

1. დაევალოს გურჯაანის რაიონის დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს), სასწავლო ნაწილის გამგეებს:

ა) საფუძვლიანად შეისწავლონ საქართველოს სსრ განსახკომის მოქმედი დირექტივები, (კოლეგიის დადგენილებანი, ბრძანებანი, ცირკულარები, მითითებანი, ინსტრუქციები) სისტემატურად განიხილონ ისინი პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და სკოლის მთელი მუშაობა მთლიანად წარმართონ ამ დირექტივების საფუძველზე;

ბ) სკოლისა და ცალკე სასწავლო საგნების სამუშაო გეგმები გადააკეთონ იმგვარად, რომ ისინი კონკრეტულად ასახავდნენ სკოლის მუშაობის ყოველმხარეს; სისტემატურად შეამოწმონ გეგმების შესრულების მიმდინარეობა, შედეგი მოისმინონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და გათვალისწინებული სამუშაოების დროულად და ხარისხოვნად შესრულებისათვის დროულად მიიღონ საჭირო ზომები;

გ) ყოველდღიური ზედამხედველობა დააწესონ მოსწავლეთა წესების შესრულებაზე, პირადად შეამოწმონ თუ რამდენად სუფთად, დროზე და წესიერად ცხადდებიან სკოლაში მოსწავლეები, როგორ იცავენ წესების ცალკეულ მუხლებს და დასახონ ღონისძიებანი წესების მტკიცედ დანერგვის უზრუნველსაყოფად;

დ) წესრიგში მოიყვანონ სასწავლო კაბინეტები, შეავსონ ისინი

საჭირო ხელსაწყო-იარაღებით და მიაღწიონ იმას, რომ ყოველი გაკვეთილი ტარდებოდეს თვალსაჩინოდ და ცდების გამოყენებით;

ე) მტკიცე და სისტემატური კონტროლი დააწესონ მასწავლებელთა მუშაობაზე: ხშირად დაესწრონ გაკვეთილებს, შეისწავლონ თვითეული მოსწავლის მომზადების დონე, გამოავლინონ სწავლებაში არსებული მიღწევები და ნაკლი; გაკვეთილზე დასწრების შედეგები განიხილონ მასწავლებელთა თათბირებზე, პედაგოგიური საბჭოსა, მეთოდგაერთიანებასა და საგნობრივ კომისიების სხდომებზე და ყოველმხრივ დაეხმარონ მასწავლებლებს სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში;

ვ) ჩააბან მასწავლებლები დაუსწრებელ სწავლებაში, შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკები პედაგოგიურ-მეთოდური და სხვა საჭირო ლიტერატურით და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მასწავლებლებს პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

2. დაევალოს ცალკე საგნების მასწავლებლებს:

ა) საგნების სწავლება ზუსტად აწარმოონ სახელმწიფო სასწავლო პროგრამების საფუძველზე და არ დაუშვან ამ პროგრამებიდან გადახვევა; ყოველდღიურად ემზადონ და გაკვეთილები ჩაატარონ თვალსაჩინოდ—მოსწავლეთათვის გასაგებად და მისაწვდომად, ყოველ გაკვეთილზე აწარმოონ საშინაო დავალებათა შესრულების შემოწმება; ზუსტად და ობიექტურად შეაფასონ მოსწავლის ცოდნა და საჭირო დახმარება გაუწიონ სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს.

ბ) ჩაებან დაუსწრებელ სწავლებაში და უზრუნველჰყონ თავიანთი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლება.

3. განათლების განყოფილებამ პედკაბინეტთან ერთად:

ა) უახლოეს დროში შეამოწმოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დირექტივების შესრულებისა და გურჯაანის სკოლებში ცალკე საგნების სწავლების მდგომარეობა, მოსწავლეთა წესების შესრულების მიმდინარეობა, საუბნო მეთოდ გაერთიანებებისა და საგნობრივი კომისიების მუშაობა, გამოავლინოს სკოლების მუშაობაში არსებული მიღწევები და ნაკლი და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ნაკლის უახლოეს დროში გამოსასწორებლად;

ბ) მასწავლებელთა თათბირებზე და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განაზოგადოს მოწინავე მასწავლებელთა მიღწევები; მოაწყოს ცალკე საგნების მასწავლებელთათვის საუბრები, კონსულტაციები,

მოხსენებები პედაგოგიურ-მეთოდურ საკითხებზე, მიაღწიოს იმას, რომ ყოველი მასწავლებელი ეცნობოდეს მეცნიერებათა ახალ მიღწევებს საგანში.

4. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსს ამხ. უშ. ობოლაძეს ეს ბრძანება განიხილოს გურჯაანის რაიონის მასწავლებელთა თათბირზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის 1945 წლის 25 სექტემბრის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარი **ვ. კუპრაძე.**

---

# ბრძანება № 2457

## საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

## 1945 წელი 18 სექტემბერი

### ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა მიერ წერითი სამუშაოების არადამაკმაყოფილებლად შესრულების შესახებ.

გამოკვლევით დადასტურდა, რომ ზოგიერთ სკოლაში არ ექცევა სათანადო ყურადღება მოსწავლეთა მიერ წერითი მუშაობის დამოუკიდებლად შესრულებას, რის შედეგად ხშირად ადგილი აქვს სახელმძღვანელოდან და ერთმანეთისაგან გადაწერის შემთხვევებს.

ჩოხატაურის საშუალო სკოლის მე-10 კლასის ერთერთ მოსწავლის საგამოცდო წერითი ნამუშევარი ქართულ ენისა და ლიტერატურაში სიტყვა-სიტყვით გადმოწერილი არის ამავე კლასის მეორე მოსწავლისაგან, მასწავლებელს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია და ორივე ნამუშევარი შეუფასებია ნიშნით „5". ასევე, დაბა წნორის მე-10 კლასის ერთერთი მოსწავლის საგამოცდო წერითი ნამუშევრის უდიდესი ნაწილი გადმოწერილია მეორე მოსწავლის ნაწერიდან. დადასტურდა, რომ წინასწარ დამზადებული თხზულებიდან იყო გადაწერილი ბორჯომის რუსული საშუალო სკოლის ერთერთი მოსწავლის საგამოცდო წერითი ნამუშევარი რუსულ ლიტერატურაში, რომელიც ხუთზე იყო შეფასებული სკოლის მიერ.

გეგეჭკორის რაიონის ს. ტალერის საშუალო სკოლის მე-10 კლასის ერთერთ მოსწავლის საგამოცდო წერითი ნამუშევარი რუსულ ენაში უშეცდომოთ იყო შესრულებული, მაგრამ სიტყვა-სიტყვით იმეორებდა სახელმძღვანელოს ტექსტს. როცა ამ მოსწავლეს იგივე ტექსტი მიეცა ხელმეორედ დასაწერად, მან თითოეულ სიტყვაში რამდენიმე შეცდომა დაუშვა.

ქ. თბილისის ქალთა 1-ლი, სტალინირის რუსული, გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაოს, აბაშის რაიონის მარნისა და წულუკიძის რაიონის გორდის საშუალო სკოლების რამდენიმე მოსწავლეს ამოცანები და მაგალითები მათემატიკაში სრულიად ერთნაირად აქვთ ამოხსნილი და განმარტებანი ამოცანის ამოხსნის დროს ერთმანეთის ზუსტ ასლს

წარმოადგენს, რაც აშკარად ადასტურებს, რომ ამ სკოლების მოსწავლეებს ამოცანა და მაგალითი ერთმანეთისაგან აქვთ გადაწერილი. მსგავს მოვლენებს ადგილი აქვს სხვა სკოლებშიაც.

აღნიშნული ფაქტები ადასტურებს, რომ ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლები, სასწავლო ნაწილის გამგეები და დირექტორები დანაშაულებრივ უყურადღებობას იჩენენ ამ მახინჯი მოვლენის მიმართ და საჭირო ზომებს არ ღებულობენ მის აღსაკვეთად; არ ზრუნავენ ისეთი პირობების შესაქმნელად, რომ მოსწავლე წერითი მუშაობას აუცილებლად დამოუკიდებლად ასრულებდეს; საშინაო წერითი სამუშაოების შესრულებაზე არ აწესებენ სათანადო კონტროლს, ნამუშევრის შეფასების დროს მხედველობაში არ ღებულობენ, რამდენად დამოუკიდებლად არის თხზულება შესრულებული. ყოველივე ამის შედეგად მოსწავლეებს აყენებენ ყალბ გზაზე, — აჩვევენ თვალთმაქცობას და სხვისი შრომის მითვისებას.

ვბრძანებ:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის მასწავლებლებმა საკლასო წერით მუშაობის ჩატარების დროს უზრუნველჰყონ ისეთი პირობების შექმნა, როცა აბსოლუტურად შეუძლებელი იქნება ერთმანეთისაგან გადაწერა.

2. საშინაო წერითი დავალების შესრულების შემოწმებისას აუცილებლად შეამოწმონ, არის თუ არა ნამუშევარი მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად შესრულებული.

3. იმ შემთხვევაში, როცა დადასტურდება, რომ ნამუშევარი მოსწავლის მიერ სხვისაგან ან წინასწარ დამზადებულ თხზულებიდან არის გადაწერილი, ნამუშევარი შეფასდეს ნიშანი „1“-ით.

4. მიღებულ იქნას სასჯელის მკაცრი ზომები გადაწერაში ხელის შემწყობ მოსწავლეთა მიმართ.

5. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა დააწესონ კონტროლი და უზრუნველჰყონ ამ ბრძანების განუხრელად გატარება სკოლაში.

6. ვაფრთხილებ სკოლის დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგეებს, მასწავლებლებს, მომავალში გადაწერის შემთხვევებისადმი გულგრილობის და უყურადღებობისათვის მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

7. საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა სკოლის მუშაობის ყოველი შემოწმებისას შეისწავლონ წერითი ნამუშევრები მათი დამოუკიდებლად შესრულების თვალსაზრისით და საჭირო ღონისძიებები გაატარონ ნაკლის გამოსასწორებლად.

8. ეს ბრძანება განხილულ იქნეს საქართველოს სსრ დაწყებით, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო
კომისარი ვ. კუპრაძე.

---

დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სახალხო
კომისრის ვ. დ. კუპრაძის მიერ. 1945 წ. 7 აგვისტოს.

## საქართველოს სსრ ქართული დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის სასწავლო გეგმა 1945-46 სასწავლო წლისათვის

| № რიგზე | საგნის დასახელება | კვირეული საათები | | | | | | | | | | წლიური საათები | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1-ლი კლ. | მე-2 კლ. | მე-3 კლ. | მე-4 კლ. | მე-5 კლ. | მე-6 კლ. | მე-7 კლ. | მე-8 კლ. | მე-9 კლ. | მე-10 კლ. | 1-ლი კლ. | მე-2 კლ. | მე-3 კლ. | მე-4 კლ. | მე-5 კლ. | მე-6 კლ. | მე-7 კლ. | მე-8 კლ. | მე-9 კლ. | მე-10 კლ. |
| 1 | ქართული ენა | 12 | 10 | 9 | 6 | 5 | 5 | 4 | — | — | — | 396 | 330 | 297 | 198 | 165 | 165 | 132 | — | — | — |
| 2 | „ ლიტერატურა | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 4 | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 99 | 99 | 132 |
| 3 | სუფთა წერა | 2 | 2 | 2 | — | — | — | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | — | — | — | — | — | — | — |
| 4 | რუსული ენა | — | 3 | 5 | 5 | 6 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | — | 99 | 165 | 165 | 198 | 198 | 198 | 66 | 66 | 66 |
| 5 | „ ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | 3 | 3 | 3 | — | — | — | — | — | — | — | 99 | 99 | 99 |
| 6 | არითმეტიკა | 7 | 6 | 6 | 6 | 7 | — | - | — | — | — | 231 | 198 | 198 | 198 | 231 | — | — | — | — | — |
| 7 | ალგებრა, გეომეტრია-ტრიგონომეტრია | — | — | — | — | — | 5 | 5 | 5 | 6 | 5 | — | — | — | — | | 165 | 165 | 165 | 198 | 165 |
| 8 | ბუნებისმეტყველება | — | | — | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 1 | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 66 | 99 | 33 | — |
| 9 | ისტორია | — | — | — | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | 2 | — | — | — | 99 | 66 | 99 | 66 | 99 | 99 | 66 |
| 10 | საქართველოს ისტორია | — | — | — | — | — | — | — | — | — | 3 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 99 |
| 11 | სსრკ-ს კონსტიტუცია | — | — | | | — | — | 1 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 33 | — | — | — |
| 12 | გეოგრაფია | — | — | — | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 3 | — | — | — | — | 66 | 99 | 99 | 66 | 66 | 99 | — |
| 13 | ფიზიკა | — | — | — | — | — | 2 | 2 | 3 | 2 | 3 | — | | — | | — | 66 | 66 | 99 | 66 | 99 |
| 14 | ასტრონომია | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | | — | — | — | — | — | — | — | 33 |
| 15 | ქიმია | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 3 | 3 | — | | | — | — | — | 66 | 66 | 99 | 99 |
| 16 | უცხო ენა | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 99 |
| 17 | ხ ა ტ ვ ა | 1 | 1 | 1/2 | 1/2 | 1 | — | — | — | — | — | 33 | 33 | 17 | 16 | 33 | — | — | — | — | — |
| 18 | სიმღერა | 1 | 1 | 1/2 | 1/2 | — | — | — | — | — | — | 33 | 33 | 16 | 17 | — | — | — | — | — | — |
| 19 | ხაზვა | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 33 | 33 | 33 |
| 20 | სამხედრო ფიზიკური მომზადება | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 4 | 4 | 5 | 33 | 33 | 66 | 66 | 99 | 99 | 99 | 132 | 132 | 165 |
| | ჯ ა მ ი | 24 | 24 | 25 | 27 | 33 | 33 | 33 | 33 | 33 | 35 | 792 | 792 | 825 | 891 | 1089 | 1089 | 1089 | 1089 | 1089 | 1155 |

დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ვ. დ. კუპრაძის მიერ. 1945 წ. 7 აგვისტოს.

## საქართველოს სსრ რუსული დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის სასწავლო გეგმა 1945—46 სასწავლო წლისათვის

| № რიგზე | საგნის დასახელება | კვირეული საათები 1-ლი კლ. | მე-2 კლ. | მე-3 კლ. | მე-4 კლ. | მე-5 კლ. | მე-6 კლ. | მე-7 კლ. | მე-8 კლ. | მე-9 კლ. | მე-10 კლ. | წლიური საათები 1-ლი კლ. | მე-2 კლ. | მე-3 კლ. | მე-4 კლ. | მე-5 კლ. | მე-6 კლ. | მე-7 კლ. | მე-8 კლ. | მე-9 კლ. | მე-10 კლ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსული ენა | 12 | 11 | 9 | 6 | 5 | 5 | 4 | — | — | — | 396 | 363 | 297 | 198 | 165 | 165 | 132 | — | — | — |
| 2 | რუსული ლიტერატურა | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 4 | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 99 | 99 | 132 |
| 3 | სუფთა წერა | 2 | 2 | 2 | — | — | — | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | — | — | — | — | — | — | — |
| 4 | ქართული ენა | — | 2 | 5 | 5 | 6 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | — | 66 | 165 | 165 | 198 | 198 | 198 | 66 | 66 | 66 |
| 5 | ქართული ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | 2 | 3 | 3 | — | — | — | — | — | — | — | 66 | 99 | 99 |
| 6 | არითმეტიკა | 7 | 6 | 6 | 6 | 7 | — | — | — | — | — | 231 | 198 | 198 | 198 | 231 | — | — | — | — | — |
| 7 | ალგებრა, გეომეტრია ტრიგონომეტრია | — | — | — | — | — | 5 | 5 | 5 | 6 | 5 | — | — | — | — | | 165 | 165 | 165 | 198 | 165 |
| 8 | ბუნებისმეტყველება | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 1 | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 66 | 99 | 33 | — |
| 9 | ისტორია | — | — | — | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | 3 | — | — | — | 99 | 66 | 99 | 66 | 99 | 99 | 99 |
| 10 | სსრკ-ს კონსტიტუცია | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 33 | — | — | — |
| 11 | გეოგრაფია | — | — | — | 2 | 3 | 3 | 2 | 3 | 3 | — | — | — | — | 66 | 99 | 99 | 66 | 99 | 99 | — |
| 12 | ფიზიკა | — | — | — | — | — | 2 | 2 | 3 | 2 | 3 | — | — | — | — | — | 66 | 66 | 99 | 66 | 99 |
| 13 | ასტრონომია | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | — | — | — | — | — | | — | 33 |
| 14 | ქიმია | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 3 | 3 | — | — | — | — | — | — | 66 | 66 | 99 | 99 |
| 15 | უცხო ენა | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 99 |
| 16 | ხატვა | 1 | 1 | 1/2 | 1/2 | 1 | — | — | — | — | — | 33 | 33 | 17 | 16 | 33 | — | — | — | — | — |
| 17 | სიმღერა | 1 | 1 | 1/2 | 1/2 | — | — | — | — | — | — | 33 | 33 | 16 | 17 | — | — | — | — | — | — |
| 18 | ხაზვა | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 33 | 33 | 33 |
| 19 | სამხ. ფიზ. მომზად. | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 4 | 4 | 5 | 33 | 33 | 66 | 66 | 99 | 99 | 99 | 132 | 132 | 165 |
| | ჯ ა მ ი | 24 | 24 | 25 | 27 | 33 | 33 | 33 | 33 | 33 | 33 | 792 | 792 | 825 | 891 | 1089 | 1089 | 1089 | 1089 | 1089 | 1089 |

დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ვ. დ. კუპრაძის მიერ. 1945 წ. 7 აგვისტოს.

## საქართველოს სსრ სომხური და აზერბაიჯანული დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის სასწავლო გეგმა 1945-46 სასწავლო წლისათვის

| № რიგზე | საგნის დასახელება | კვირეული საათები 1-ლი კლ. | მე-2 კლ. | მე-3 კლ. | მე-4 კლ. | მე-5 კლ. | მე-6 კლ. | მე-7 კლ. | მე-8 კლ. | მე-9 კლ. | მე-10 კლ. | წლიური საათები 1-ლი კლ. | მე-2 კლ. | მე-3 კლ. | მე-4 კლ. | მე-5 კლ. | მე-6 კლ. | მე-7 კლ. | მე-8 კლ. | მე-9 კლ. | მე-10 კლ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მშობლიური ენა | 12 | 10 | 7 | 5 | 4 | 3 | 3 | 1 | — | — | 396 | 330 | 231 | 165 | 132 | 99 | 99 | 33 | — | — |
| 2 | ” ლიტერატურა | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 |
| 3 | სუფთა წერა | 2 | 2 | 2 | — | — | — | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | — | — | — | — | — | — | — |
| 4 | ქართული ენა | — | 2 | 3 | 3 | 6 | 6 | 4 | 2 | 2 | 2 | — | 66 | 99 | 99 | 198 | 198 | 132 | 66 | 66 | 66 |
| 5 | ” ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | 1 | 2 | 3 | — | — | — | — | — | — | — | 33 | 66 | 99 |
| 6 | რუსული ენა | — | — | 5 | 5 | 6 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | — | — | 165 | 165 | 198 | 198 | 198 | 66 | 66 | 66 |
| 7 | რუსული ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | 3 | 3 | 3 | — | — | — | — | — | — | — | 99 | 99 | 99 |
| 8 | არითმეტიკა | 7 | 7 | 5 | 5 | 6 | — | — | — | — | — | 231 | 231 | 165 | 165 | 198 | — | — | — | — | — |
| 9 | ალგებრა, გეომეტრია ტრიგონომეტრია | — | — | — | — | — | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | — | — | — | — | — | 165 | 165 | 165 | 165 | 165 |
| 10 | ბუნებისმეტყველება | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 33 | — |
| 11 | ისტორია | — | — | — | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | 3 | — | — | — | 99 | 66 | 99 | 66 | 99 | 99 | 99 |
| 12 | სსრკ-ს კონსტიტუცია | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 33 | — | — | — |
| 13 | გეოგრაფია | — | — | — | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | 3 | — | — | — | — | 66 | 99 | 66 | 66 | 66 | 99 | — |
| 14 | ფიზიკა | — | — | — | — | — | 2 | 2 | 3 | 2 | 3 | — | — | — | — | — | 66 | 66 | 99 | 66 | 99 |
| 15 | ასტრონომია | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 33 |
| 16 | ქიმია | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 3 | 3 | — | — | — | — | — | — | 66 | 66 | 99 | 99 |
| 17 | უცხო ენა | — | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | — | — | — | — | — | — | — | 66 | 66 | 66 |
| 18 | ხატვა | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | 33 | 33 | 33 | 33 | — | — | — | — | — | — |
| 19 | სიმღერა | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | 33 | 33 | 33 | 33 | — | — | — | — | — | — |
| 20 | ხაზვა | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 33 | 33 | 33 |
| 21 | სამხედრო ფიზიკური მომზადება | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 4 | 4 | 5 | 33 | 33 | 66 | 66 | 99 | 99 | 99 | 132 | 132 | 165 |
| | ჯ ა მ ი | 24 | 24 | 26 | 29 | 34 | 34 | 34 | 35 | 35 | 35 | 792 | 792 | 858 | 957 | 1122 | 1122 | 1122 | 1155 | 1155 | 1155 |

„Утверждаю“
Народный Комиссар Просвещения
Груз. ССР КУПРАДЗЕ

# УЧЕБНЫЙ ПЛАН

## для грузинской начальной, семилетней и средней школы Абхазской АССР на 1945|46 учебный год.

| Наименование предметов | I кл. | II кл. | III кл. | IV кл. | V кл. | VI кл. | VII кл. | VIII кл. | IX кл. | X кл. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. Грузинский яз. | 11 | 9 | 8 | 8 | 6 | 5 | 4 | — | — | — |
| 2. Грузинская лит. | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 4 | 4 | 4 |
| 3. Абхазский яз. | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | — | — | — |
| 4. Абхазская лит. | — | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 2 |
| 5. Чистописание | 2* | 2* | 2* | — | — | — | — | — | — | — |
| 6. Русский яз. | — | 2 | 4 | 4 | 6 | 6 | 5 | 2 | 2 | 2 |
| 7. Русская лит. | — | — | — | — | — | — | — | 3 | 3 | 3 |
| 8. Арифметика | 6 | 6 | 5 | 5 | 6 | — | — | — | — | — |
| 9. Алгебра, Геометрия, Тригонометрия | — | — | — | — | — | 5 | 5 | 5 | 5 | 5 |
| 10. Естествознание | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | — |
| 11. История | — | — | — | 2 | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | 2 |
| 12. Исория Грузии | — | — | — | — | — | — | — | — | — | 3 |
| 13. Конституция | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | — |
| 14. География | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | — |
| 15. Физика | — | — | — | — | — | 2 | 2 | 3 | 2 | 3 |
| 16. Астрономия | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 |
| 17. Химия | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 3 | 2 |
| 18. Иностранный яз. | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 19. Рисование | 1/2 | 1/2 | 1 | 1/2 | — | — | — | — | — | — |
| 20. Пение | 1/2 | 1/2 | 1 | 1/2 | — | — | — | — | — | — |
| 21. Черчение | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 1 |
| 22. В/Физ. подг. | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 4 | 4 | 5 |
| Итого | 24 | 24 | 26 | 29 | 34 | 34 | 34 | 35 | 35 | 35 |

*) один час для груз. яз. второй для абхазск. яз.

„Утверждаю“
Народный Комиссар Просвещения
Груз. ССР КУПРАДЗЕ
24 августа 1945 г.

# УЧЕБНЫЙ ПЛАН

## для грузинской начальной, семилетней и средней школы Юго-Осетинской Автономной Области на 1945-46 уч. год.

| Наименование предметов | I кл. | II кл. | III кл. | IV кл. | V кл. | VI кл. | VII кл. | VIII кл. | IX кл. | X кл. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. Осетинский яз. . . . | 5 | 4 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | — | — | — |
| 2. Осетинская лит . . . . | — | — | — | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 |
| 3. Чистописание . . . . | 2* | 2* | 2* | — | — | — | — | — | — | — |
| 4. Грузинский яз. . . . . | 7 | 7 | 7 | 4 | 3 | 3 | 2 | — | — | — |
| 5. Грузинская литерат. | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 6. Русский яз. . . . . . . | — | 2 | 5 | 5 | 6 | 6 | 6 | 3 | 2 | 2 |
| 7. Русская литература . . | — | — | — | — | — | — | — | 3 | 3 | 3 |
| 8. Арифметика . . . . | 7 | 6 | 6 | 6 | 7 | — | — | — | — | — |
| 9. Алгебра, Геометрия, Тригонометрия | — | — | — | — | — | 5 | 5 | 5 | 6 | 5 |
| 10. Естествознание . . . . | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | — |
| 11. История . . . . . . . | — | — | — | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | 2 |
| 12. История Грузии . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | 3 |
| 13. Конституция СССР . . | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | — |
| 14. География . . . . . . | — | — | — | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 3 | — |
| 15. Физика . . . . . . | — | — | — | — | — | 2 | 2 | 3 | 2 | 3 |
| 16. Астрономия . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 |
| 17. Химия . . . . . . | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 3 |
| 18. Иностранный язык . | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 19. Рисование . . . . . | 1 | 1 | 1/2 | 1/2 | 1 | — | — | — | — | — |
| 20. Пение . . . . . . | 1 | 1 | 1/2 | 1/2 | — | — | — | — | — | — |
| 21. Черчение . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 1 |
| 22. Военно-физическая подготовка . . . . | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 3 | 4 | 4 | 5 |
| Итого . . . . | 24 | 24 | 25 | 27 | 33 | 33 | 33 | 33 | 33 | 35 |

*) один час. для груз. яз. и второй для осетинского.

პ/მგ. რედაქტორები: მ. ბურჭულაძე.

საქართველოს სსრ განსახკომის უმაღლესი სკოლის სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.

შეკ. № 1402. ტირაჟი 3.000. უე 09580. ხელმოწ. დასაბეჭდად 28/XII 45 წ

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი, „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.